



**2019 წლის 18 თებერვლის**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 20:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე.**

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება:** ლიკა ტურაშვილი, ნინო კარანაძე, სოფიო ტაკიძე, ანა მირზაშვილი, ნინო კოჭორიძე, ნათია ასლანიშვილი, თამარ სვანიშვილი, ხატია ყურუა, იზო მაჭარაშვილი, ქეთევან ლობჯანიძე, თეკლა ხუციშვილი, თამარ გოგია, მარიამ აფხაზავა, თებრო ლევიძე, ქრისტინე ობოლაძე, ცოტნე ანანიძე.

**აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:**

(ა) **ლიკა ტურაშვილის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით „ადვოკატთა შესახებ“ კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლიკა ტურაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

**(ბ) სოფიო ტაკიძის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 19 დეკემბერს და დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში რეგისტრატორის თადამდებობაზე მუშაობის შესახებ 2016 წლის 16 მაისიდან - 2018 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს და განაცხადეს, რომ სოფიო ტაკიძეს მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიო ტაკიძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

**(გ) ნინო კარანაძის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 9 ნოემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 18 თებერვალს ნინო კარანაძემ დამატებით წარმოადგინა ცნობა შპს „იურიდიული მომსახურების სააგენტოში“ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2015 წლის სექტემბრიდან - 2016 წლის 20 ნოემბრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს და განაცხადეს, რომ ნინო კარანაძეს მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო კარანაძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

**(გ) ხატია ყურუას** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 28 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო

სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

წევრები გაეცნენ ხატია ყურუას მიერ დამატებით წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას, ადვოკატ გიორგი მახარაძესთან იურისტად მუშაობის შესახებ 2017 წლის 2 აპრილიდან - 2018 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ხატია ყურუას მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხატია ყურუას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(დ) იზო მაჭარაშვილის** განცხადებას რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 26 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 5 თებერვალს იზო მაჭარაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული საადვოკატო კომპანია შპს “ბონა ფიდესის” მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2016 წლის 1-ლი დეკემბრიდან - 2018 წლის 20 იანვრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ იზო მაჭარაშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს იზო მაჭარაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ე) ქეთევან ლობჯანიძის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 27 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო

სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 4 თებერვალს ქეთევან ლობჯანიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფ შპს „მისო ბი აი ჯი“- ში იურისტად მუშაობის შესახებ 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2018 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ქეთევან ლობჯანიძის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან ლობჯანიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(გ) თეკლე ხუციშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 27 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 4 თებერვალს თეკლე ხუციშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, ბიზნეს საინვესტიციო ჯგუფ შპს „მისო ბი აი ჯი“- ში იურისტადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2015 წლის 1-ლი იანვრიდან 2016 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ თეკლე ხუციშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეკლე ხუციშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ზ) თამარ გოგიას** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 28 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია

მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 5 თებერვალს თამარ გოგიამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „შპს ბი აი ჯი“-ის მიერ საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2015 წლის 1-ლი აპრილიდან - 2018 წლის 1-ელ სექტემბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ თამარ გოგიას მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ გოგიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(თ) **თამარ სვანიშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 24 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 1-ელ თებერვალს თამარ სვანიშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის ცნობა შპს „იურისტთა და აუდიტთა სახლში“ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2016 წლის 10 სექტემბრიდან - 2017 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

წევრებმა განაცხადეს, რომ თამარ სვანიშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ სვანიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ი) **ნათია ასლანიშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 24 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც

აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 1-ელ თებერვალს ნათია ასლანიშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 15 თებერვლიდან 2018 წლის 22 იანვრამდე მონაცემთა დამუშავების და განახლების სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციაზე მუშაობის შესახებ და 2018 წლის 22 იანვრიდან - 2019 წლის 1-ლი თებერვლის მდგომარეობით, მონაცემთა დამუშავების და განახლების სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ნათია ასლანიშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით და თანდართული დოკუმენტებით, დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნათია ასლანიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ვ) მარიამი აფხაზავას განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 26 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 4 თებერვალს მარიამი აფხაზავამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟიდ დამადასტურებელი ცნობა, იურიდიულ ბიურო „ადვოკატი“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, იურისტად მუშაობის თაობაზე, 2017 წლის 15 სექტემბრიდან 2019 წლის 15 სექტემბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ მარიამი აფხაზავას მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამი აფხაზავას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ლ) ნინო კოჟორიძეს განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 25 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი,

შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ნინო კოჭორიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ მიერ იურისტის ასისტენტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2018 წლის 1-ლი იანვრიდან - დღემდე, 2019 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ნინო კოჭორიძეს მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო კოჭორიძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(მ) ანა მირზაშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 26 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 5 თებერვალს ანა მირზაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული იურიდიულ კომპანია შპს „ბაგრატ“-ის მიერ, იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2015 წლის 1-ლი სექტემბრიდან - 2016 წლის 1-ელ ოქტომბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ანა მირზაშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა მირზაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ნ) ცოტნე ანანიძის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 6 სექტემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო

სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. ასევე, დამატებით დაევალა წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, სასამართლო განჩინება ანდა სხვა დოკუმენტი რითაც დასტურდება, რომ მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს.

ცოტნე ანანიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟიდ დამადასტურებელი ცნობა გაცემული შპს „თერმო ჯგუფის“ მიერ, იურისტად მუშაობის შესახებ, 2013 წლის 5 თებერვლიდან - 2014 წლის 10 თებერვლამდე. ასევე, მან წარმოადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 იანვრის განჩინება ნასამართლობის მოხსნის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ცოტნე ანანიძის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ცოტნე ანანიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ო) **თებრო ლევიძის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 27 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

თებრო ლევიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული სსიპ იუსტიციის სახლიდან, 2016 წლის 20 ივლისიდან - 2017 წლის 20 თებერვლამდე იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის სამსახურში ანაზღაურებად სტაჟიორად დანიშვნის თაობაზე, ასევე, 2017 წლის 20 თებერვლიდან - 2019 წლის 4 თებერვლის მდგომარეობით ამავე სამსახურში სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ, რომელშიც ასევე მითითებული იყო აღნიშნული თანამდებობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.

წევრებმა განაცხადეს, რომ თებრო ლევიძის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით არ დასტურდება მის მიერ იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.



აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს თებრო ლევიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და გასაჩივრების წესის თაობაზე.

(3) ქრისტინე ობოლაძის განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 25 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 05 თებერვალს ქრისტინე ობოლაძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟიდ დამადასტურებელი ცნობები გაცემული სსიპ „იუსტიციის სახლი“-ის მიერ, თბილისის იუსტიციის სახლში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის შესახებ, კერძოდ 2013 წლის 1-ლი თებერვლიდან - 2013 წლის 14 აგვისტომდე ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის მოვალეობის შემსრულებელის პოზიციაზე მუშაობის შესახებ, 2013 წლის 14 აგვისტოდან - 2016 წლის 27 მაისამდე ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ, 2016 წლის 27 მაისიდან - 2018 წლის 1-ელ მარტამდე სივრცის ოპერატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ და 2016 წლიდან პროფესიულ ინსტრუქტორად მუშაობის შესახებ. ცნობაში ასევე, მითითებული იყო სივრცის ოპერატორის და პროფესიული ინსტრუქტორის თანამდებობებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.

განმცხადებელმა ასევე, წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული შპს „OK&CG“-ის მიერ, იურისტის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ 2018 წლის 1-ლი მარტიდან - 2019 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით.

ასევე, სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, იურიდიული დახმარების ცენტრში სტაჟირების გავლის თაობაზე 2010 წლის დეკემბრიდან - 2011 წლის ივნისამდე, ამავე ცნობაში მითითებული იყო, რომ იგი ასრულებდა იურისტ-კონსულტანტის და ადვოკატის თანაშემწის მოვალეობებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ ქრისტინე ობოლაძის მიერ დამატებით წარმოდგენილი სსიპ „იუსტიციის სახლი“-დან გაცემული ცნობით არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

განმცხადებლის მიერ შპს „OK&CG“-დან დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება, რომ იგი იურისტის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს 2018 წლის 1-ლი მარტიდან, თუმცა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**. წარმოდგენილი ცნობებით კი არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების 1 წლის სტაჟი, რითაც წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 10-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან.

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გაცემული ცნობას, საიდანაც დასტურდება მისი სტაჟირების ფარგლებში იურისტ-კონსულტანტის და ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი, წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე, რომელიც არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში. შესაბამისად ქრისტინე ობოლოძის მიერ წარმოდგენილი ცნობა საიდანაც დასტურდება მისი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ვერ ჩაითვლება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება**:

1. არ დაკმაყოფილდეს ქრისტინე ობოლოძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილებისა და გასაჩივრების წესის თაობაზე.

**საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება:** გიორგი გზობავა, მარინა ჯანიაშვილი, ირაკლი ლომიძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე შოთაძე, მათა სულაკაძე. **საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლება და ხელახლა გაწევრიანება - მიხეილ ნოზაძე და ლია ჭაჭუკაშვილი.**

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების გიორგი გზობავას, მარინა ჯანიაშვილის, ირაკლი ლომიძის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე შოთაძის და მათა სულაკაძის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

ასევე, გაეცნენ საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლებისა და ხელახლა გაწევრიანების მსურველი პირების მიხეილ ნოზაძისა და ლია ჭაჭუკაშვილის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლია ჭაჭუკაშვილს აღმასრულებელი საბჭოს 2015 წლის

24 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ხოლო მიხეილ ნოზაძეს აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>3</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდათ ასოციაციის წევრობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი გიორგი გზობავას, მარინა ჯანიაშვილის, ირაკლი ლომიძის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე შოთაძის, მაია სულაკაძის განცხადებები.

(ბ) მიხეილ ნოზაძესა და ლია ჭაჭუკაშვილს ეცნობოთ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილი საწევრო შეღავათით სარგებლობისთვის გათალისწინებული კონკრეტული კრიტერიუმების შესახებ და მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენისა და საწევრო შეღავათით გათვალისწინებული საწევრო დავალიანების გადახდის შემდეგ მიხეილ ნოზაძე და ლია ჭაჭუკაშვილი ხელახლა იქნან გაწევრიანებულნი ასოციაციაში.

**საკითხი 3. წევრობის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ განცხადებების განხილვა:** ბექა გოგატიშვილი, ნინო კოჭორიძე, ცოტნე ანანიძე, ნათია ასლანიშვილი, თამარ სვანიშვილი, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირები: კახაბერ ხვედელიძე, გიორგი კიპაროიძე, მედეა წიკლაური, ირაკლი მარშანია, ავთანდილ ლესფვერიძე, გიორგი ლაცაბიძე, ბადრი რამიშვილი, ლევან ფიფია, გოდერძი გრიგალაშვილი, ლევან ცალუღელაშვილი, თამარ ცხადაძე, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირი: ნიკა დუმბაძე, წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით - სანდრო შერმადინი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავდროულად კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში,

უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ბექა გოგატიშვილის, ნინო კოჭორიძის, ცოტნე ანანიძის, ნათია ასლანიშვილის, თამარ სვანიშვილის, კახაბერ ხვედელიძის, გიორგი კიპაროიძის, მედეა წიკლაურის, ირაკლი მარშანიას, ავთანდილ ლესფვერიძის, გიორგი ლაცაბიძის, ბადრი რამიშვილის, ლევან ფიფიას, გოდერძი გრიგალაშვილის, ლევან ცალუღელაშვილის, თამარ ცხადაძის, ნიკა დუმბაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: კახაბერ ხვედელიძეს, გიორგი კიპაროიძეს, მედეა წიკლაურს, ირაკლი მარშანიას, ავთანდილ ლესფვერიძეს, გიორგი ლაცაბიძეს, ბადრი რამიშვილს, ლევან ფიფიას, გოდერძი გრიგალაშვილს, ლევან ცალუღელაშვილს, თამარ ცხადაძეს, ნიკა დუმბაძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

2. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>3</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული სანდრო შერმადინის განცხადება წევრობის შეწყვეტის შესახებ.

საკითხი 4. 2019 წლის საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების/განწილვადების შესახებ განცხადებების განხილვა: გოდერძი გრიგალაშვილი, ციალა ჭუმბურიძე, თამარ ცხადაძე, გულნარა ანდლულაძე, შოთა შოშიაშვილი, ლელა შავიძე, მარინე ახალაური, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, თამილა ქუთათელაძე, ზურაბ კვიციანიძე, გვანცა გუგეშაშვილი, 2019 წლის საწევრო დავალიანების განწილვადების მოთხოვნით - ლევან ცალუღელაშვილი.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. განმცხადებლებზე, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად წარმოდგენილი აქვთ საწევრო შეღავათით სარგებლობისთვის განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები - გვანცა გუგეშაშვილი, ლელა შავიძე, გულნარა ანდლულაძე, ციალა ჭუმბურიძე, თამილა ქუთათელაძე გავრცელებულ იქნას დადგენილი საშეღავათო საწევრო.

2. განმცხადებლებს - გოდერძი გრიგალაშვილის, თამარ ცხადაძეს, შოთა შოშიაშვილს, მარინე ახალაურს, ალექსანდრე ბოჭორიშვილს და ზურაბ კვიციანიძეს ეცნობოთ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით საშეღავათო საწევროთი სარგებლობისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ და წარმოდგინონ შესაბამისი დოკუმენტები რის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ საშეღავათო საწევროს გავრცელების საკითხზე.

**საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის” მონაწილეთა სიის დამტკიცება**

სასწავლო ცენტრის დირექტორმა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-5 მუხლის, 5.7. პუნქტის თანახმად, წევრებს გააცნო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 51 მონაწილის სია.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ სიას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის” დებულების 5.7. პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრირებული 51 მონაწილე (დანართი N1) და მათ მიენიჭოთ ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი.

**საკითხი 6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის” სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატთა სიის დამტკიცება**

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.2. და 10.3. პუნქტების თანახმად, გააცნო სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ სიას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის” დებულების 10.3 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N2).

**საკითხი 7. 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ადგილისა და სავარაუდო თარიღების განსაზღვრა**

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიწოდა ინფორმაცია 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ადგილისა და სავარაუდო თარიღების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად განისაზღვროს 2019 წლის 1, 2, 8, 9, 15, 16 ივნისი (თარიღები შესაძლოა შეიცვალოს გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით);
2. 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 23 ივნისი.
3. 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ადგილად განისაზღვროს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.).

**საკითხი 8. 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე ირინა ფირცხალავას განცხადების გახილვა.**

წევრები გაეცნენ ირინა ფირცხალავას განცხადებას, რომელიც ითხოვდა 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას ფინანსური პრობლემების გამო. განცხადებას თან ერთვოდა ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს ირინა ფირცხალავას განცხადება 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა**

**ასოციაციის თავმჯდომარე**